

**საქართველო: რელიგია, სახელმწიფო, საზოგადოება**  
პრესის მიმოხილვა

ბიულეტენი №8  
აგვისტო, 2006 წ.

**საერთო პრესა**

ამ თვის ქართულ პრესაში ეკლესიასთან მიმართებაში პუბლიკაციების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ რაიმე ახალი ტენდენციების გამკვეთა ძნელია.

**„ახალი თაობა“, 1.08.06.**

მედიანიუსის ინფორმაცია

**“ქალის როლი ტრადიციულ რელიგიებში მეტად მნიშვნელოვანია“**

სასტუმროში „მეტეხი შერატონ პალასი“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით - „ქალის როლი ტრადიციულ რელიგიურ მოძღვრებებში“, რომლის ორგანოზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული რელიგიათშორისი საკოორდინაციო ცენტრი და ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლობა საქართველოში. კონფერენციას ესწრებოდნენ კათალიკოს-პატრიარქი ილია II და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რელიგიურმა მოღვაწეებმა და მეცნიერებმა ირანიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან და საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა კონფესიების ლიდერებმა.

**„ახალი ვერსია“, 4-6.08.06.**

სერგო კერესელიძე

**ქალი, რწმენა და რელიგიები**

ინფორმაცია იმავე კონფერენციის შესახებ. მასში მოყვანილია კათალიკოს ილია II-ს გამოსვლის ფრაგმენტიც: „ჩვენ ვცხოვრობთ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყნებში შემოდის გლობალიზაციის პროცესი და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის სულიერი თუ ტრადიციული ეროვნული ფასეულობანი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დავაგროვეთ და ამ შემთხვევაში ქალს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს.“

**„ახალი ვერსია“, 4-6.08.06.**

ია შავიაშვილი

**უნდა დაიწერონ თუ არა ჯვარი მოხუცებმა?**

სტატიის ავტორი ეკითხება ღვთისმშობლის შობის მონასტრის მოძღვარს მამა ტარიელს: უნდა დაიწერონ თუ არა ჯვარი ხანდაზმულმა წყვილებმა, რომლებმაც საბჭოთა პერიოდში შექმნეს ოჯახები? მამა ტარიელი: „რაც შეეხება მოხუცების ჯვრისწერას, მაინცდამაინც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. თუ მათ შეუძლებია ღვთის წინაშე კომუნისტური რეჟიმის გამო ვერ მოახერხეს და ახლა იმის შიშით უნდათ ჯვარი დაიწერონ, რომ საიქიოში ერთად არ აღმოჩნდებიან, ეს არასწორია. ესე იგი, მათ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რაღაც ფანატური წარმოდგენა აქვთ... ის აზრი, რომ ჯვარი ვისაც არ აქვს დაწერილი, უკანონო შვილები ჰყავთ, ეს არ არის მართალი. არავითარი უკანონობა! ღმერთმა კარგად იცის, ვინ მართლა ცოლ-ქმარია და ვინ მრუშობს“.

**„ჯორჯიან თაიმსი“, 10-08.11.06.**

მუდმივი რუბრიკა „არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინის) ქადაგებები, სტაიები და საუბრები

**შტაინერიანიზმის – ანტროფოსოფიის შესახებ**

ანტროფოსოფიის „ანტიქრისტიანული არსის“ მხილებისას არქიმანდრიტი რაფაელი ამ სწავლების შემქმნელის რუდოლფ შტაინერის პორტრეტს ხატავს და გაკვრით აუწყებს მკითხველს, რომ მან ბევრი შრომა მიუძღვნა გოეთეს: “გოეთე ხომ არა მხოლოდ მთელ მსოფლიოში ცნობილი პოეტი იყო, არამედ ფილოსოფოსი-პანთეისტიც: თავის ნაწარმოებებში მან ერთ დონეზე დაჰყავდა ქრისტე და სატანა; გარდა ამისა, იგი ატარებდა სხვა საშინელ, ქრისტიანისთვის მიუღებელ აზრებს.”

**„ჯორჯიან თაიმსი“, 17-24.08.06.**

მუდმივი რუბრიკა „არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინის) ქადაგებები, სტატიები და საუბრები

ამჯერად არქიმანდრიტი მოდერნისტებთან მართავს მწვავე პოლემიკას: „მათ სურთ, რომ ეკლესია ითვლებოდეს ამ სოფლის ხატად და არა ეს სოფელი ეკლესიის ხატად... მოითხოვენ ენის, კალენდრის, ხატწერისა და საეკლესიო გალობის რეფორმას“, - წერს იგი და ტრადიციული არგუმენტები მოჰყავს ძველი საეკლესიო ენის, კალენდრისა და გალობის ხელშეუხებლობის დასამტკიცებლად.

**„რეზონანსი“, 30.08.06.**

სოფო ქვლივიძე

**ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია ღია რეჟიმში გადადის**

წერილი ფოთში მომხდარ ინციდენტს შეეხება: პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთში, ზაზა გოროზიამ საგაზეთო ინტერვიუში თქვა, რომ ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე გრიგოლმა საკათედრო ტაძრის აღდგენისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვა მოსთხოვა. ეპარქიის მრევლმა და სამღვდელოებამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მოუწოდეს რწმუნებულს ცილისწამებისათვის საჯაროდ მოეხადა ბოდიში.

ავტორი წერს, რომ ზოგიერთი ოპოზიციურად განწობილი პოლიტიკოსის აზრით, ეს კერძო შემთხვევა იმ მასშტაბური დაპირისპირებისა შემადგენელია, რომელიც ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის არსებობს და რომელმაც სადღეისოდ ფარული ხასიათი მიიღო. გურამ შარაძის და ჯონდი ბაღათურიას აზრით, ხელისუფლებაში მყოფ გავლენიან პირთა გუნდს პატრიარქის მოშორება სურს. ზოგიერთი ოპოზიციონერი, ავტორის ცნობით, უფრო შორს მიდის და საპატრიარქოს გაუქმების გეგმაზეც კი საუბრობს.

იმავდროს, საპატრიარქოსთან დაპირისპირებული დეკანოზი ბასილ კობახიძე აცხადებს, რომ ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) „ხუთჯერ ნასამართლევი პიროვნებაა, რომელსაც ჯერ კიდევ შვეარდნაძის პერიოდში ფოთის მერი უხდიდა ბიუჯეტიდან ათასობით ლარს.“ იქვე მამა ბასილი ამბობს, რომ მსგავს გარიგებებში სხვა მღვდელმთავრებიც მონაწილეობდნენ და მაგალითისთვის ე.წ. „ფქვილის საქმეს“ იხსნებს, როდესაც ზოგი მათგანის მონაწილეობით ჰუმანიტარული ფქვილი კომერციულ ფასებში გაიყიდა. „შემდეგ ეს საქმე ჩაფარცხეს“ - ამბობს დეკანოზი.

## **რელიგიური (მართლმადიდებლური) პრესა**

ახალი ტენდენციები, რომლებიც გასულ თვეში გამოიკვეთა, აგვისტოს საეკლესიო პრესაშიც შეიმჩნევა. ეს განსაკუთრებით საპატრიარქოს ოფიციალურ გამოცემებში ვლინდება. მასში სულ უფრო ხშირად ვხვდებით პუბლიკაციებს, რომლის ავტორებიც მორწმუნეებს ქრისტიანული დათმენის, მტრის შენდობის, ბოროტების სიკეთით დაძლევისაკენ მოუწოდებენ. საპატრიარქოს გამოცემაში გამოჩნდა პუბლიკაცია, რომელიც ბოლო წლების საეკლესიო პრესაში გამეფებულ აპოკალიფსურ განწყობებს დაუპირისპირდა. განხილულ საეკლესიო ჟურნალ-გაზეთებში აღარ გვხვდება ე.წ. სექტებზე აგრესიული თავდასხმა. კვლავინდებურად აქტუალურია გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული შიშები.

უნდა აღინიშნოს, რომ საზაფხულო პაუზის გამო ამ თვეში საეკლესიო ჟურნალ-გაზეთების დიდი ნაწილი არ გამოსულა.

### **მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი**

სიტყა-პასუხის ფორმით „კანდელში“ მოთხრობილია კათოლიკურ მრწამსში „ფილიოკვეს“ წარმოშობის შესახებ: „ეს დამატება - „და ძისაგან“ - პირველად მიიღეს 589 წელს ტოლედოში ესპანეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე... ამ კრებაზე გადაწყვიტეს ვესტ-გუთების არიანული წვალებიდან მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა. არიანული მწვალებლობის მთავარი სწავლება რაკი არ იზიარებს მამისა და ძის თანასწორობას, ესპანელმა ღვთისმსახურებმა გადაწყვიტეს დაემატებინათ „და ძისაგან“, რათა მამა და ძე, მათი აზრით, თანასწორნი ყოფილიყვნენ; ამით კი დაამდაბლეს სულიწმინდა, რითაც მეორე მწვალებლობაში ჩავარდნენ... იგი ეწინააღმდეგება ღვთაებრივ ჭეშმარიტებას და წარმოადგენს ცრუ – ღვთისმგმობ და ერეტიკულ სწავლებას. გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ადამიანის სულს. ქრისტეს სიტყვების თანახმად, მისი მიმდევარი თანამდებია ჯოჯოხეთის „საუკუნოისა სასჯელსა“, რადგანაც არის სულიწმინდის მგმობელი“ („კანდელი“, №28, 18-24 აგვისტო, გვ. 4, 7, 10, „სწავლება სულიწმინდის გამომავლობის შესახებ“).

### **ქრისტიანული დათმენების შესახებ**

„არ მოგვეთხოვება, რომ ღვთის შურაცხყოფას გავუჩუქდეთ. უნდა დაიცვა ზღვარი, რომ არც გაჩუქდეთ და მორჩილად თავი დაუხარო და არც ზედმეტ შფოთს არ უნდა მიეცე. უნდა იცოდეთ, რომ ძალადობა არასოდეს არ არის გამართლებული. არ შეიძლება ქრისტიანმა ჯვრით ხელში კაცი გალახო“

(„კარიბჭე“, №15, გვ. 4-8, „მოთმინება“, ინტერვიუ წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის მსახურ არქიმანდრიტ ანტონთან (გულიაშვილთან)).

„...ბოროტებით ბოროტებას ვერ შეაჩერებ და მოჩვენებითი მშვიდობაც უსარგებლოა. ამასთან მარად გვახსოვდეს უფლის ცნებანი და ის აღქმა, რომელიც დამთმენს ელის, როცა შეურაცხოვლი და ნაწყენი გულმოდგინედ ეცდება მიუტევოს მტერს და სიკეთით ბოროტება დაამარცხოს“ („საპარტიარქოს უწყებანი №30, 3-16 აგვისტო, გვ. 16-17, „რატომ გვყავს მტრები? წმინდა იოანე ოქროპირის ქადაგების მიხედვით“).

„ქრისტიანული გაგებით, მტერი არ არსებობს, წმინდანებს არ ჰყავდათ მტერი. ერთადერთი მტერი დაცემული ანგელოზია – კაცობრიობის მტერი. როდესაც ადამიანი აღმოჩნდება იარაღი ბოროტებისა, იგი, რა თქმა უნდა, შეიქმნება მტრად... თუმცადა ეს მაინც ამ სოფლის გაგებაა. რამდენადაც უფრო სულიერია ადამიანი, იმდენად მას არ ჰყავს მტერი, იმიტომ რომ სწორედ იმ ადამიანების ხარჯზე მიაღწია მან ამ სულიერებას“ („კრიალოსანი“, №8, ინტერვიუ სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურთან, თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანთან, იღუმენ დოსითეოზთან (ბოგვერაძესთან)).

„... არის ისეთი ვნებებიც, რომლებიც ხშირად მორწმუნეთაც ჩვევად ჰქცევიან და ვერც კი ხვებიან, როგორ ეფლობიან ცოდვის ღრმა, ბინძურ ჭაობში. ამ ვნებათაგან ერთ-ერთი ყველაზე საშინელია განკითხვის ვნება... ყველაზე მთავარი ნიშანი მტრის პატიებისა ის არის, როცა ჩვენ გულმხურვალეთ ვლოცულობთ მისთვის... როგორც ჩვენ გვსურს მოგვეპყრას უფალი, თავადაც ასევე უნდა მოვექცეთ თითოეულ ადამიანს“ („კანდელი“ №26, 4-10 აგვისტო, გვ. 5-6, ინტერვიუ ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარ, დეკანოზ გიორგისთან (თევდორაშვილთან)).

„კანდელის“ იმავე და სხვა ნომერში მრავლად ქვეყნდება წმინდა მამათა გამონათქვამები ქრისტიანულ მოთმინებასა და მიმტვევებლობაზე, მტრის შენდობაზე („კანდელი“ №26, გვ. 9-10; „კანდელი“ №28, გვ. 15).

### **გლობალიზაცია და სახელმწიფოებრივი აზროვნება**

ჟურნალ „კარიბჭის“ მიერ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ამბობს: „სახელმწიფოებრივი აზროვნება, პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი დოქტრინა, თავისი წესი - „მამული, ენა, სარწმუნოება“... ახლა მიდის გლობალიზაციის პროცესი. ძალიან მძიმე და რთული მდგომარეობაა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი სახელმწიფო კი არ გვებრძვის და მისგან კი არ ვიცავთ თავს, არამედ მოდის, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო კულტურათა გაერთიანების დროში... მეთოდურად მუშაობა მიდის ახალგაზრდების მომსახურე პერსონალად აღრსაზრდელად. თითქოს ჩვენ არ გვჭირდება მაღალი იდეალები... დიდი ძალა, დიდი მანქანა მუშაობს იმისათვის, რომ ახალგაზრდამ გვერდი აუაროს მთავარს, რისი არსებობაც ცოტასდა ახსოვს“ („კარიბჭე“ №15, გვ. 36-38, მარიამ ლორთქიფანიძე, „მაშინ იყო სახელმწიფო ძლიერი, როცა ეროვნულ და სახელმწიფო ხელისუფლებას საერთო ენა ჰქონდათ და შეთანხმებულად მართავდნენ ქვეყანას“).

### **აპოკალიფსური განწყობების შესახებ**

„დაივიწყეს რა საზღვრები თავიანთი შეზღუდული სულისა, ეს ადამიანები ღვთის განგების ყველაზე დაფარულსა და მათთვის მიუწვდომელ სიღრმესა და

და სიდუმლობაში შეღწევასა და გამოძიებას ცდილობენ. ხელმძღვანელობენ რა თაყიანთი მწირი გონებით, მათ არასწორედ ესმით და განმარტავენ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სხვადასხვა, საიდუმლოს დამფარველ სიტყვებს; ისინი მკრეხელობასა და ერესს ავრცელებენ. რადგან აშკარად ქადაგებენ, რომ: 1) ჭეშმარიტი ანტიქრისტე თითქოს უკვე იშვა და სამყაროში მეფობს; 2) ჯამი მისი სახელის ასოებისა სლავურ დიალექტზე მხედის რიცხვს 666 ნიშნავს; 3)წმინდა მსოფლიო და სამოციქულო ეკლესია, დამტკიცებული იესო ქრისტეს მიერ, ახლა ჯოჯოხეთის ბჭეებითაა დაძლეული. გარდა ამისა, ისინი ქრისტიანებს, რომელთაც მტკიცე რწმენა აქვთ და მათ ერეტიკულ სწავლებას არ იზიარებენ, გამუდმებით ლანძღავენ...“ („კანდელი“ №27, 11-17 აგვისტო, გვ. 15-16, ანონიმი ავტორი, „ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნები“).

### **მართლმადიდებელი ოჯახის შესახებ**

„...ოჯახის დაშლა ცოდვად განიხილება ნებისმიერ შემთხვევაში: კანონიერი განქორწინება არ არსებობს... არსებობს შემთხვევები, სამწუხაროდ, არც თუ ისე ცოტა, როდესაც თანაცხოვრება მეუღლეებისა ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი ხდება და მათი დაშორება უმჯობესია, მიზანშეწონილია; მაგრამ ასეთ დროსაც განქორწინება სწორი და კანონიერი კი არ არის, არამედ მხოლოდ ნაკლები ცოდვაა, და ოჯახის დაშლა კანონით კი არ ხდება, არამედ იმ ცოდვით, რომელიც დაშლის მიზეზი იყო... ეკლესია მონაწიეების შემთხვევაში განმეორებითი ქორწინების უფლებას აძლევს ადამიანს, თუ არის იმედი წმიდა და უბიწო თანაცხოვრებისა“ („კანდელი“ № 28, 18-24 აგვისტო, გვ. 3-4, ანონიმი ავტორი, „თუ ოჯახი ნაკლულია“).

### **ქალის როლი საზოგადოებაში და მისი ჩაცმულობა**

„საპატრიარქოს უწყებანის“ ინფორმაციით, 31 ივლისს სასტუმრო „მეტეხი შერატონ პალასში“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ქალის როლი ტრადიციულ რელიგიურ მოძღვრებებში“, რომლის ორგანოზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული რელიგიათშორისი საკოორდინაციო ცენტრი და ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლობა საქართველოში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რელიგიურმა მოღვაწეებმა და მეცნიერებმა ირანიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან და საქართველოში მოღვაწე სხვა კონფესიების წარმომადგენლებმა („საპატრიარქოს უწყებანი“, №30, 3-16 აგვისტო, გვ. 12-13).

“კრილოსანში“ გამოქვეყნებული უავტორო სტატიის მიხედვით, თანამედროვე ქალის გარყვნა სჯულის კანონის უგულველყოფამ გამოიწვია: „თუ ვინმე დედააკაცმა მოჩვენებითი მოღვაწეობისთვის შეიცვალოს სამოსელი და სადედააკაცო სამოსელის ნაცვლად სამამაკაცო ჩაიცვას, შეჩვენებულ იყოს.“

„...ქალის ქცევა, მისი ბუნება, როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათან შეცვალა შარვლის ჩაცმამ. შარვაღმა ქალი გააუხეშა. იგი სიარულისას მამაკაცურად დიდ ნაბიჯებს ადგამს, შეეცვალა დგომისა და ჯდომის მანერა, მრავალი სივარეტს ეწევა. გახშირდა მეტყელებისას უცენზურო ჟარგონული სიტყვების ხმარება“ („კრილოსანი“ №8, გვ. 14-16, „მოკრძალება და კდემამოსილება სამკაულია ქალისა“).

### **თამბაქოსა და ნარკოტიკების შესახებ**

ქურნალი „კარიბჭე“ აქვეყნებს ინტერვიუს ივერიის ღვისმშობლის ტაძრის მსახურთან, დეკანოზ ზაზა კირვალიძესთან. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს წინასიტყვაობაში თამბაქო „სატანის საკმეველადაა“ მოხსენიებული (“ის არის

ანტიპოდი, დამახინჯებული სახე კეთილსურნელოვანი საკმეველისა, რომელსაც ლოცვის დროს უფალს უკმევენ მორწმუნენი“), ღვთისმსახური თავს იკავებს ასეთი მკვეთრი შეფასებებისაგან და სიგარეტის მოწვევას ერთ-ერთ ვნებას უწოდებს: “ხომ ვითომ უწყინარი ვნებაა, მაგრამ სულიერ ცხოვრებაში წინსვლას აფერხებს... ადამიანი ბალახის მონა ხდება... გასაგებია, რომ ერთბაშად თავის დანებება რთულია. ამიტომაც ვითვალისწინებთ მათ მდგომარეობას და არ ვთხოვთ თამბაქოს ერთბაშად გადაეჩვიონ“ („კარიბჭე“, №15, გვ. 15-16, „მოთმინება“, „ეკედრეთ ღმერთს, მოგცეთ ძალა ამ ვნებისაგან გასათავისუფლებლად“).

საეკლესიო პრესა განაგრძობს კამპანიას ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ. ამ თემას უთმობენ თავის ფურცლებს „კანდელი“ (№27, 11-17 აგვისტო, გვ 10-17, “მშობლების როლი ნარკომანი შვილების განკურნებისას“) და „თაბორი“ (№4, გვ. 26-30, მიხეილ ბუღგაკოვი, „მორფი“ (იბეჭდება გაგრძელებით)).

---

თბილისი, 0108, სააბონენტო ყუთი 101, ტელ.: 33 40 81, ფაქსი: 33 41 63

ელ-ფოსტა: [cipdd@access.sanet.ge](mailto:cipdd@access.sanet.ge)

Mailing address: P.O. Box 101, TBILISI, 0108, Republic of Georgia. Tel.: (995-32) 334081, fax: (995-32) 33 41 63

E-mail: [cipdd@cipdd.org](mailto:cipdd@cipdd.org)